საიდ. N 75488/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა N163-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრთან - „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ, შემდეგი შემადგენლობით: ს. მუჯირი (თავმჯდომარე), თ. ჯაფარიძე, მ. ჭიჭინაძე, გ. ფანცულაიას მდივნობით განიხილა კომპანიის „ჩენგ შინ რუბენ ინდ. კო., ლტდ.“ (CHENG SHIN RUBBER IND. CO., LTD.) N163-03/15 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვლის ნაწილის მიმართ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - ,,საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 25 სექტემბრის N1725/03 ბრძანების ბათილად ცნობა იმ ნაწილში, რომლითაც

სასაქონლო ნიშანს „MAXXIS“ (საიდ. N75488/03) უარი ეთქვა რეგისტრაციაზე მე-12 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ და აღნიშნული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-12 კლასი).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 25 სექტემბრის N1725/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი “MAXXIS” ექვემდებარება ნაწილობრივ დაცვას, ვინაიდან მსგავსია კომპანიის „საიკ მოტორ კო., ლტდ.“ (SAIC MOTOR CO., LTD.) სახელზე მე-12 კლასის საქონლის მსგავსი ჩამონათვალის ნაწილისთვის, მადრიდის შეთანხმების ოქმით საქართველოზე გავრცელებული და დაცული სასაქონლო ნიშნისა „MAXUS“ (საერთ. N1079055, საერთაშორისო თარიღი: 28/02/2011). განცხადებული სასაქონლო ნიშანი “MAXXIS” (საიდ. N75488/03) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „MAXUS“ (IR 1079055) წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშანს. ნიშნები მსგავსია ვიზუალურად. ორივე ნიშანი შესრულებულია სტანდარტული ლათინური ასომთავრული ანბანით. იდენტურია ნიშნების საწყისი ნაწილები „MAX” - „MAX”, იდენტურია აგრეთვე ნიშნების დაბოლოება „S“-„S“. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები განსხვავდებიან მხოლოდ შემდეგი ორი ასოთი: „I“ – „U”, რაც ვერ სძენს განცხადებულ ნიშანს იმ დონის განსხვავებას, რომ არ მოხდეს სასაქონლო ნიშნების აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია ფონეტიკურად, რადგან

განცხადებული სასაქონლო ნიშანი ქართველი მომხმარებლის მიერ გამოითქმის, როგორც „მაქსისი“, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი, როგორც „მაქსუსი“. იდენტურად ჟღერს, ნიშნების საწყისი ნაწილები „მაქს“ – „მაქს“. მსგავსია ასევე, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მე-12 კლასის საქონლის ჩამონათვალი. განცხადებული სასაქონლო ნიშნის საქონლის ჩამონათვალი მოიცავს დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის საქონლის ჩამონათვალის ნაწილს.

აღნიშნულის გამო, განცხადებული სასაქონლო ნიშანი ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დარეგისტრირდა მე-12 კლასის განცხადებული საქონლის ჩამონათვალის ნაწილის მიმართ.

აპელანტი კომპანია „ჩენგ შინ რუბენ ინდ. კო., ლტდ.“ (CHENG SHIN RUBBER IND. CO., LTD.) არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის პოზიციით, განცხადებულ სასაქონლო ნიშანსა და დაპირისპირებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს შორის არსებობს საკმარისი განსხვავება, რათა არ მოხდეს მომხმარებლის მხრიდან ამ ნიშნებით ნიშანდებული მე-12 კლასის საქონლის მწარმოებელი კომპანიების ერთმანეთში აღრევა. განცხადებული სასაქონლო ნიშანი „MAXXIS“ ჩაწერილია ლათინური შრიფტით და შედგება ექვსი ასო-ნიშნისაგან. დაპირისპირებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი „MAXUS“, ასევე, ჩაწერილია ლათინური შრიფტით და შედგება ხუთი ასო-ნიშნისაგან. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის პირველი სამი ასო-ნიშანი „M”, „A” და „X” და ბოლო ასო-ნიშანი „S” იდენტურია. განცხადებული სასაქონლო ნიშანი განსხვავდება დაპირისპირებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისაგან მე-4 დამატებითი ასო-ნიშნით „X”. განსხვავებულია აგრეთვე, ბოლო მარცვლის პირველი ასო-ნიშნები. განცხადებულ სასაქონლო ნიშანში ეს არის - „I”, ხოლო დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანში - „U”. აღნიშნულის გამო, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები ქართულად განსხვავებულად ჟღერს. კერძოდ, განცხადებული სასაქონლო ნიშანი გამოითქმება, როგორც „მექსის” ან „მაქსის”, ხოლო

დაპირისპირებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი, როგორც „მაქსუს” ან „მაქსას”. იმის გათვალისწინებით, რომ განცხადებულ და დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს არ გააჩნიათ აზრობრივი დატვირთვა, ზემოთ მოყვანილი განმასხვავებელი ნიშნები სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ არ მოხდეს მომხმარებლის მხრიდან ამ ნიშნებით ნიშანდებული მე-12 კლასის საქონლის მწარმოებელი კომპანიების ერთმანეთში აღრევა.

აპელანტი აღნიშნავს, რომ სასაქონლო ნიშნით ნიშანდებული საქონელი საკმაოდ დიდი ხანია არსებობს მსოფლიო ბაზარზე და მოპოვებული აქვს რეპუტაცია. ამასთან, მისი კუთვნილი სასაქონლო ნიშანი დარეგისტრირებულია და დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებთან თანაარსებობს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ქვემოთ მოყვანილია ამ ქვეყნების სია რეგისტრაციის ნომრების მითითებით:

ქვეყანა	MAXXIS	MAXUS
1. შვეიცარია	654603	IR 1079055
2. შვედეთი	365104	IR 1079055
3. ესპანეთი	1.777.611	IR 1079055
4. სინგაპური	T 9403575D	IR 1079055
5. მაროკო	57512	IR 1079055
6. მექსიკა	472267	1286963
7. მალაიზია	94003765	2011001173
8. ინდონეზია	TDM00005135	TDM000362964
9. ისლანდია	2609	IR 1079055

10. ჰონკონგი	1995 07240	302290626
11. გერმანია	2065438	IR 1079055
12. საფრანგეთი	033234491	IR 1079055
13. ევროკავშირის უწყება	009869041	გან.№004174231
14. გაერთიანებული სამეფო	UK00001544387	UK0000 2367177
15. დანია	VR200302292	IR 1079055
16. ჩინეთი	765872	4183164
17. ბენილუქსი	0540707	IR 1079055
18. ავსტრია	162811	IR 1079055

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვლის ნაწილის მიმართ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - ,,საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 25 სექტემბრის N1725/03 ბრძანების ბათილად ცნობას და სასაქონლო ნიშნის „MAXXIS“ (საიდ. N75488/03) რეგისტრაციას მე-12 კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „საბურავები (სალტეები); სალტეს კამერები სატრანსპორტო საშუალებებისთვის; კამერები სატრანსპორტო საშუალებების საბურავებისთვის (სალტეებისთვის); საბურავის სარქველები სატრანსპორტო საშუალებებისთვის; სალტეების საბურავების გასაბერი ტურბოები; სალტეების სარემონტო ზესადებები; მაჰერმეტიზებელი ფენა უკამერო სალტეებისთვის (კამერის შუასადებები); საბურავზე გორვის ზედაპირის აღმდგენი ხუფები (პროტექტორები); სათადარიგო სალტეების შალითები; მუხრუჭები

სატრანსპორტო საშუალებებისთვის; ველოსიპედის მუხრუჭები; გადაცემის გადამრთველები ველოსიპედებისთვის; ველოსიპედის ჯაჭვები; ველოსიპედის წყლის ბოთლის დამჭერები; კალათები განკუთვნილი ველოსიპედებისთვის; გაქურდვის საწინააღმდეგო მოწყობილობები სატრანსპორტო საშუალებებისთვის; სიგარეტის ელექტრო სანთებელები სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებებისთვის; ფორმიანი ან მისამაგრებელი მანქანის სავარძლის შალითები; სატრანსპორტო საშუალებების საჭის შალითები; გოლფის ელექტრო "კედები"; ძრავები და მოტორები სატრანსპორტო საშუალებებისთვის; საბავშვო მსუბუქი ეტლები; ღვედები სატრანსპორტო საშუალებების ტრანსმისიითვის; სიჩქარეების გადამრთველი კოლოფები სატრანსპორტო საშუალებებისთვის; უკან ხედვის სარკეები ავტომობილებისთვის; ტალახსაწინააღმდეგო ფარები ავტომობილებისთვის, მოტოციკლეტებისთვის და ველოსიპედებისთვის; ინვალიდის სავარძლები; მინასაწმენდები ქარსარადი მინებისათვის; ველოსიპედის საჭის სახელურები; ამძრავი ლილვები სატრანსპორტო საშუალებებისთვის; საბაყლო საქონლის ურიკები.".

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი (საიდ. N163-03/15) არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, „სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი - იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა."

სააპელაციო პალატის კოლეგია არ იზიარებს აპელანტის პოზიციას განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების განსხვავებაზე და მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „MAXXIS" (საიდ. N75488/03) და დაპირისპირებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი „MAXUS" (IR 1079055)

წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები შესრულებულია სტანდარტული ლათინური ანბანით. იდენტურია ნიშნების პირველი სამი ასო - „MAX“ და ბოლო ასო - „S“. მათ შორის განხვავებას წარმოადგენს ნიშნების ბოლოს წინა ასო-ნიშნები: „I“ და „U” და განცხადებული სასაქონლო ნიშანში არსებული დამატებითი ასო - „X“. სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ აღნიშნული განსხვავება ვერ უზრუნველყოფს დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს შორის საკამრის განმასხვავებლობას.

განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი მსგავსია ასევე, ფონეტიკური თვალსაზრისით. განცხადებული სასაქონლო ნიშანი მომხმარებლის მიერ გამოითქმის, როგორც - „მაქსის“, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი, როგორც - „მაქსუს“. იდენტურია, ნიშნების საწყისი ნაწილების „მაქს“ – „მაქს“ ჟღერადობა.

რაც შეეხება დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების საქონლის ჩამონათვალს, განცხადებული სასაქონლი ნიშნის რეგისტრაცია მოითხოვება მე-12 კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „საბურავები (სალტეები); სალტეს კამერები სატრანსპორტო საშუალებებისთვის; კამერები სატრანსპორტო საშუალებების საბურავებისთვის (სალტეებისთვის); საბურავის სარქველები სატრანსპორტო საშუალებებისთვის; სალტეების საბურავების გასაბერი ტურბოები; სალტეების სარემონტო ზესადებები; მაჰერმეტიზებელი ფენა უკამერო სალტეებისთვის (კამერის შუასადებები); საბურავზე გორვის ზედაპირის აღმდგენი ხუფები (პროტექტორები); სათადარიგო სალტეების შალითები“, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია მე-12 კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „ელექტროძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები; ფურგონები სატრანსპორტო საშუალებები; ხმელეთზე, წყალში, ჰაერში და რელსებზე გადასაადგილებელი სატრანსპორტო საშუალებები; ავტომობილები; ავტოსატრანსპორტო საშუალებები; სატრანსპორტო საშუალებების ბამპერები; გადაბმის ქუროები სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებებისათვის; ძარები სატრანსპორტო საშუალებებისათვის;

სავარძლები სატრანსპორტო საშუალებების; სალტეს კამერის და საბურავების სარემონტო ინსტრუმენტების ნაკრები“. სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშნის საქონლის ჩამონათვალი დაკავშირებულია რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის საქონლის ჩამონათვალთან, კერძოდ „ავტომობილებებს“ და „საბურავებს“ ჰყავს ერთი და იგივე მომხმარებელი. ამასთან, ორივე სასაქონლო ნიშნის საქონლის ჩამონათვალი შეიცავს სატრანსპორტო საშუალებების ნაწილებს, რომელთაც ჰყავს საერთო მომხმარებელი და აქვთ ერთი და იგივე სარეალიცაზიო ადგილი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასაქონლო ნიშნის „MAXXIS“ (საიდ. N75488/03) რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალურის საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ჩენგ შინ რუბენ ინდ. კო., ლტდ.“ (CHENG SHIN RUBBER IND. CO., LTD.) N163-03/15 სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვლის ნაწილის მიმართ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და

დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 25 სექტემბრის N1725/03 ბრძანება.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ს. მუჯირი

წევრები: თ. ჯაფარიძე

მ. ჭიჭინაძე